შპს „გრანდე კაზა“

მშენებლობისორგანიზაციისპროექტი

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6 (ს/კ 01.72.14.032.599)

სასაწყობე შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები

ვამტკიცებ:
შპს „გრანდე კაზა“-ს
დირექტორი
მ.ბარბაქაძე

თბილისი 2022 წ.

მშენებლობისორგანიზაციისპროექტი

შემადგენლობა:

ა) განმარტებითი ბარათი;

1. შესავალი;

2. სამშენებლო მოედნისა და სამონტაჟო ობიექტის დახასიათება;

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;

4.მშენებლობის საინჟინრო მომზადება და მითითებები სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე და ფარული სამუშაოების აქტების ჩამონათვალი;

5. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა;

6. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა რიგითობა და ეტაპები;

7.უსაფრთხოების ტექნიკა;

8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია;

9.რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტისა და ხელსაწყოების უწყისი;

ბ) სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა. „მოპ-1“

გ) სამშენებლო მოედანზე სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და სპეც.ავტო-ტრანსპორტის გადადგილების გრაფიკული ნაწილი;

ა) განმარტებითიბარათი

1.შესავალი

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6 (ს/კ 01.72.14.032.599)
სასაწყობე შენობის სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შპს „გრანდეკაზა“-ს სპეციალისტების მიერ“-ს მიერ.

მშენებლობის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შპს „ სმართ ვეარჰაუს “-ის დავალება პროექტირებაზე, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით. გამოყენებულ იქნა პროექტით მიღებული არქიტეტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები, მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა, ნაკვეთის საინჟნრო-გეოლოგიური კვლევა, ნაკვეთის გეოდეზიური მონაცემები.

წინამდებარე „სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სამშნებლო ნორმები და წესების და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80- „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” -კრებული სამახსოვრო ქართულ ენაზე-მოქმედი სნ და წ ამონაკრები -საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბილისი 1987 წ.
4. შ.ბაქანიძე, მ.ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ.თბილისი 2006წ.
5. სნდაწ 3.01.01-85* „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“
6. სნდაწ 3.01.01-85* „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაშში“
7. N361 27.05. 2014 წ. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ ტექნიიკური რეგლამენტი“

8.N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;

9.საქართველოს მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ;

10. სნდაწ 3.03.01-87 –„მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები“
11. სნ და წ 3.03.01-87 _ “მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები”
12.სნ და წ 3.03.01-74 _”ბურულები, ჰიდროიზოლაცია, ორთქლიზოლაცია”
13.სნ და წ 3.03.21-74 _ “სამშენებლო კონსტრუქციების მოსაპირკეთებელი სამუშაოები” 14.სნ

და წ 3.04.03-85 _ “კოროზიისგან სამშენებლო კონსტრუქციებისა და ნაგებობების დაცვა”

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სნ და წ 3.01.01-85*-ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნის თანახმად, სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია მშენებლობის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა შესაბამის უფლებამოსილი და გამოცდილების მქონე სუბიექტის მეშვეობით.

2. სამშენებლო მოედნისა და სამონტაჟო ობიექტის დახასიათება ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6 (ს/კ 01.72.14.032.599)

საპროექტო შენობა წარმოადგენს არასასოფლო-ს ამეურნეო მიწის ნაკვეთზე ასაშენებელ სასაწყობე შენობას. შენობის მზიდი ელემენტები განხორციელდება შემდეგი კონსტრუქციებისგან:

საძირკვლები: – წერტილოვანი.

მზიდი კარკასი – ლითონ კონსტრუქციის სვეტები და წამწეები;

კედლების შემავსებელი – სენდვიჩპანელები;

სახურავი - ორქანობიანი სენდვიჩპანელის ბურულით;

სამშენებლო მოედანზე საინჟინრო კომუნიკაციების, ასევე სხვა რაიმე ქსელის არსებობის შემთხვევაში, სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ, დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით, უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით.

სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, სამონტაჟო ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, ცვლილებები უნდა მოხდეს დადგენილი წესით, შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და დამკვეთის მიერ.

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელისამუშაოებისაღწერა; სამშენებლო მოედანი მდებარეობს კეძო საკუთრებაში არსებულ შემოღობილ, დაცულ, ტერიტორიაზე. მისი რელიეფი ქანობიანია , რის გამოც სამონტაჟო სამუშაოები რაიმე განსაკუთრებული პირობებით არ ხასიათდება. სამშენებლო მოედანზე არ ფიქსირდება რაიმე სახის შენობა-ნაგებობა ან/და ხე ნარგავები შესაბამისად მათი გატანა, დემონტაჟი და მოჭრა არ იგეგმება;

სამუშაოების ციკლი იწყება ტერიტორიაზე სამუშაოთა მწარმოებლის ოთახის და მუშაპერსონალის გასახდელისთვის მოწყობით, ტერიტორიაზე საინჟირო კომუნიკაციები არ ფიქსირდება, ამიტომ ისინი ეწყობა დროებითი გადამყვანებით (იხ. თავი 4).

მოედანზე უცხო პირთა და იმ მუშა-პერონალის დაშვება, რომელიც არ არიან ჩართული სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოებში აკრძალულია, მოედანზე უნდა მოეწყოს საშენმასალებათა დასაწყობებისთვის განკუთვნილი ლოკაცია, რომლიც უნდა შეზღუდოს

სასიგნალო ლენტების საშუალებთ, ღობეზე და ტერიტორიაზე გაიკრას გამაფრთხილებელი, საინფორმაციო და ამკრძალავი ბანერები.

4.ობიექტის საინჟინრო მომზადება და მითითებები სამონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე და ფარულისამუშაოებისაქტებისჩამონათვალი

მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს, რომლის შედგენაც უნდა მოხდეს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მიღებული

გადაწყვეტილების შესაბამისად. მშენებლობა უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხვედველობის ქვეშ;

ფარული სამუშაოების მიღება შესაბამის უფლებამოსილი პირების კონტროლის ქვეშ, დადგენილი წესით აუცილებელია. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:

1.ტერიტორიის შემოღობვა, შესასვლელში შესაბამისი გამართხილებელი ბანერების გაკვრა; სამუშაოთა მწარმოებლის დროებითი შენობის მონტაჟი, სამშენებლო მასალის დასაწყობება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით;

2.ნაკვეთზე საინჟინრო კომუნიკაციები არ გადის, ამიტომ მათი გადატანა შესაბამისად არ ხდება. მაგრამ ნაკვეთზე საჭიროა დროებითი წყლის გადამყვანების, და კანალიზაციის, დროებითი ელ. მომარაგების მოწყობა;

3.საპროექტო შენობის გეოდეზიური დაკვალვა; ძირითადი სამშენებლო სამუშაოები

ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს. კერძოდ:

1.მიწის სამუშაოების დაწყება;

2.რკ/ბეტონის სამუშაოები - შენობის ფუძე-საძირკვლების

3. ძირითადი კარკასის მოწყობალითონკონსტრუქციებით ;

3.არამზიდი კონსტრუქციების აშენება, საინჟინრო კომუნიკაციების მონტაჟი;

4.სახურავის მოწყობა, შენობის კედლების შევსება-შეფუთვა;

5.ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა;

ბოლო კვირებში განხორციელდება დარჩენილი მასალის, არსებობის შემთხვევაში დროებითი ნაგებობების საბოლოო გატანა მოედნიდან და ტერიტორიის გასუფთავება მომზადება ექსპლუატაციაში ჩაბარებისათვის

5. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სამუშაოების ხანგრძლივობისა და სამშენებლო სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტები - მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით საშუალო მარტივი კატეგორიისაა.

სამონტაჟო სამუშაოების ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“; ასევე დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სამონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“ კალენდარული გეგემით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე.

სამუშაოების განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა

სამუშაოთა წარმოების ხანგრძლივობა 18 თვის პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

კალენდარულ გეგმაზე ობიექტის დემონტაჟის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდირებული ხასიათისაა, მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით სამშენებლო პროცესში აღმოჩენილი სხვადასხვა გარემოებებით.

6.სამშენებლო სამუშაოების რიგითობა და ეტაპები

მოცემული სამშენებლო სამუშაოები იყოფა ორ რიგად – მოსამზადებელი სამუშაოები და ძირითადი სამშენებლო სამუშაოები; მოსამზადებელი სამუშაოების ციკლი იწყება - სამშენებლო მოედნის მოწესრიგებით:

სამშენებლო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით სამონტაჟო ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპები:

ვინაიდან ტერიტორიაზე არ ხდება გრუნტის ზედაპირის ცვლილება (ტერიტორიიდან გასატანია ადრეულ წლებში დაყრილი მიწის გრუნტი) მოსამზადებელისამუშაოები წარმოდგენილია სამი ეტაპით:
ეტაპი N 1 - მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან; (4თვე);
ეტაპი N 2 - შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება (1თვე);

სულ 1-ლი რიგის ორივე ეტაპის ვადად განისაზღვრა- 5თვე.
ძირითადი სამშენებლო სამუშაოები ითვალისწინებს შემდგომ მუშა-პროცესს. კერძოდ სამუშაოებისთვის გამოიყო ათი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ერთი შინაარსის მქონე სამუშაოები:

ეტაპი N 3 - შენობის მიწის სამუშაოები; შენობის ფუძის მოწყობის სამუშაოები, შენობის საძირკვლების მოწყობის სამუშაოები;ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობის ნულოვან ნიშნულამდე. (6კვირა)

ეტაპი N 4 - ძირითადი კარკასის მონტაჟი +10 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კოსნტრუაციების გამოკლებით); (6კვირა)

ეტაპი N 5 - ძირითადი კარკასის მონტაჟი +11,78 საპროექტო ნიშნულამდე (არამზიდი კოსნტრუაციების გამოკლებით); (6კვირა)

ეტაპი N 6 - შენობის სახურავის მოწყობა, შენობის არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; (6კვირა)

ეტაპი N 7 - შენობის ლოკალური საერთო საინჟინრო ქსელების მონტაჟი; (6კვირა)

ეტაპიN 8 - შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება; (6კვირა)

ეტაპი N 9 - ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი; (6 კვირა);

ეტაპი N 10 - ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა; (10კვირა);

სულ დადგინდა ათი ერთეული ეტაპი -ხანგრძლივობით-18 თვე - 72კვირა;

სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. იხ. მოპ-1; ეტაპების დასრულებამდე 10 დღით ადრე ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობისორგანოს ეტაპის დასრულებისშესახებ.

*შენიშვნა – ყველა ფარული სამუშაოების დასრულება მოხდეს შესაბამისი აქტის შედგენით,

საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფარული სამუშაოების ფოტოფიქსაცია. აქტებზე ხელმომწერი მხარეები – დამკვეთი, მენარდე, ობიექტზე დამოუკიდებელი ზედამხედველი სუბიექტი;

ა)მოცემულ მშენებლობაზე ფარული სამუშაოების აქტები შედგეს შემდეგ ფარულ სამუშოებზე –

*მოედნისგეოდეზიურდაკვალვაზე;

*მოედნისმოშანდაკებაზე;

*მიწის სამუშაოებისდასრულებისას,

*საძირკვლისკონსტრუქციებისარმირებაზემათ დაბეტონებამდე,

*საძირკვლისჰიდროიზოლაციაზე,

*სვეტების, სართულშუა გადახურვის ფილებისა და რიგელების, მათი კვანძების, კონსტრუქციებისარმირებისდასრულებაზემათ დაბეტონებამდე; აქტები იკინძება და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

გ)მშენებლობის პროცესში სავალდებულოა ტიპიური ფორმების მიხედვით შედგეს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც აისახება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპობრივი ქმედება; ასევე ტექნიკური უსაფრთხოებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ჟურნალები.

7.უსაფრთხოებისტექნიკა

1.უცხო პირთა, აგრეთვე სამონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

2.მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის, სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, პერიოდულად უნდა ჩატარდეს გამოცდაც.

3.სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა - მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით

4.მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო _ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III _ 4 _ 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

5.სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

6.ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

7.მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

8.ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

9.იკრძალება ვიბრატორის და სხვა ელექტრო მოწყობილობების ადგილიდან-ადგილზე გადატანა, მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ხელსაწყოები სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

10.სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია.

11.ელ.მომმარაგებელი კომპანიის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურებიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენებით, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება;

12.დაუშვებელია არაქარხნული ხელსაწყოების გამოყენება. ყველა დისკოიანი ელ.ხელსწყო აღჭურვილი უნდა იყოს გარსაცმით;

13. ავარიული სიტუაციისშემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სამონტაჟო კონსტრუქციის დროებითი გამაგრება. სადემონტაჟო ობიექტი უნდა იყოს განათებული ღამის საათებში.

14.ყველა სამონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

15ობიექტზე სამშენებლო პროცესის წარმარტვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას N477 27.10.2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები. მშენებარე კარკასი შეიფუთოს აღნიშნული რეგლამენტის მიხედვით მოაჯირებით, დამცავი ბადეებით და ა.შ. მუსა -პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი. ობიექტზე გამოყოფილი უნდა იყოს უსაფრთხოების ინჟინერი;

16.სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა დემონტაჟის სახიფათო ზონებში და სადემონტაჟო მოედანზე.

17.ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელი; რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სამონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის, უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

18.აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების ქვეშ. მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.

19.სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სამონტაჟო სამუშაოებზე. ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს.

20.სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის და ობიექტზე დანიშნული უსაფრთხოების ინჟინრის მეთვალყურეობით. ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს სპეციალური ავტოამწეების გამოყენებით და ავტოთვითმცლელებით; ზედმეტი ნაგვის დატვირთვა უნდა იწარმოოს გვერდითა ან უკანა მხრიდან.

8. ბუნებისდაცვა და ეკოლოგია

სამონტაჟო სამუშაოების დაწყება მოხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ.

1.სამონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

2.გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

3)დაუშვებელია არსებულ საკანცელიზაციო ჭებში ბეტონ-შემრევისა და ბეტონ-ტუმბოს მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით;

4)სამონტაჟო სამუშაოების დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად გადმოყრა დაუშვებელია, სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

9.რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტისა და ხელსაწყოების უწყისი სამშენებლო პროცესის უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

შპს ”გრანდე კაზა”-ს
დირექტორი,
არქიტექტორი
მ.ბარბაქაძე





სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების წარმოების კალენდარული გრაფიკი "შოპ-1"

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი №6 (ს/კ 01.72,14.032.599)
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით.

საპროექტო შენობა წარმოადგენს სასაწყობე შენობას.

აღნიშნული სამუშაოების მომზადება და შესრულება საჭიროებს 18 თვის ვადას.

წარმოდგენილი გრაფიკი შედგენილია საქართველოს
მთავრობის №255 31.05.19 დადგენილების მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად
მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში შესაძლებელია მშენებლობის განხორციელების ძირითადი
რიგის ეტაპების გაერთიანება/დაყოფა ან/და ამოღება ამ დადგენილებით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის
კლასების განსაზღვრა კლასების შესაბამისად
კერძოდ, გრაფიკში გაწერილია ორი რიგის სამუშაოები.
პირველი რიგის (მოსამზადებელი სამუშაოები) ორ ეტაპად და მეორე რიგის

(ძირითადი სამშენებლო სამუშაოები) რვა ეტაპად სულ ათი ეტაპი.
პირველი რიგის სამუშაოებს მიცემული აქვს 5 თვის ვადა, მეორე რიგის სამუშაოების

ეტაპებს 13 თვე. ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები არ არის გრაფიკში დაფიქსირებულია ყველა ძირითადი
სამუშაოს ჩამონათვალი, რასაც ისახავს სამშენებლო პროცესი IV კლასის
სასაწყობე შენობის მშენებლობის დროს

მშენებლობის გრაფიკი თვეების მიხედვით

	სამუშაოთა ჩამონათვალი	I Tve		II Tve		III Tve		IV Tve		V Tve		VI Tve		VII Tve		VIII Tve		IX Tve		X Tve		XI Tve		XII Tve		XIII Tve		XIV Tve		XV Tve		XVI Tve		XVII Tve		XVIII Tve	
		15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30	15	30
	I რიგის სამუშაოები																																				
1	1 ეტაპი მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, მესანარჩენებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მოწმენდვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებასთან.																																				
2	2 ეტაპი შენობა-ნაგებობის ჯერარსებულ დაკვეთაზე და ძირითადი ტერიტორიის დათვალიერება.																																				
	II რიგის სამუშაოები																																				
3	3 ეტაპი შენობის მიწის სამუშაოები. შენობის დაფის მოწყობის სამუშაოები. შენობის სამონტაჟო მოწყობის სამუშაოებისთვის კომპლექტაციო სისტემის მოწყობა/შენობის წნელიან ნაშენებისა.																																				
4	4 ეტაპი ძირითადი კორპუსის მონტაჟი +10.00 საპროექტო ნიშნულამდე (არამშრალი კონსტრუქციების გამოკლებით).																																				
5	5 ეტაპი ძირითადი კორპუსის მონტაჟი +11.78 საპროექტო ნიშნულამდე (არამშრალი კონსტრუქციების გამოკლებით).																																				
6	6 ეტაპი შენობის სახურავის მოწყობა, შენობის არამშრალი კონსტრუქციების მოწყობა.																																				
7	7 ეტაპი შენობის ლოკალური საერთო საინჟინრო მეურნეობის მოწყობა;																																				
8	8 ეტაპი შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულება																																				
9	9 ეტაპი ტექნოლოგიური მოწყობილობების მოწყობა;																																				
10	10 ეტაპი ტერიტორიის კეთილმოწყობა, სამშენებლო ნარჩენების გატანა.																																				

დირექტორი	გ.ბერიძე	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N6	სტადია	შუალედი	შუალედები
შესასრულა	გ.ბერიძე		პროექტი		
			ს/კ 01.72.14.032.599)		
			კალენდარული გრაფიკი	შპს "გრანდე კასა"	
			საწყობი	თბილისი 2022 წელი	



განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია შემოკლებულ ვარიანტში.
2. სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ.თბილისი, აღმშენებლის ხეობანი №6 . პროექტით გათვალისწინებულია ერთ სართულიან სასაწყობე შენობის აშენება .
შენობის კონსტრუქცია -ლატოს ელინტრუქციის ხვეტები და წამწვები.
სამრეკლის ფუძედ მილებულია ხრეში ქვიშარი საანარაში წინაღობით R_0= 2.5 კგ.ძ/სმ². საპროექტო ობიექტის სამონტაჟო სამ შაოების სანრძლოვობა განისაზღვრება სამშენებლო ნორმების და წესების -СНиП-1.04.03-85
მიხედვით. აღნიშნული სამუშაოების გათვალისწინებით მშენებლობის სანრძლოვობად მილებულია 9 თვე.
3. პირველ ეტაპზე ტერიტორიაზე მოეწყობა დროებითი ღობე. შემდეგ ეტაპზე მოხდება შენობისთვის საჭირო მიხდი კონსტრუქციების მოწყობა და სახარავის მოწყობა.
ძირითადი სამუშაოები სრულდება მუშახელის მემყვობით. დანარჩენი პრიოდი დავიმობა დარჩენილი სამუშაოების დასრულებას კერძოდ კედლების შეფხეპას, კარ-ფანჯრების მოწყობას, შიდა საინჟინრო ქსელების, მოპირკეთების და ფასადის სამუშაოებს.
სამშენებლო მასალების მიწოდება მოხდება ეზოს მხრიდან ეტაპობრივად მშენებლობის პერიოდების გათვალისწინებით.
4. სამშენებლო მოედნის ეზრუნველყოფა დროებითი ენერგიით და წყლით მოხდება საპროექტო ქსელებიდან. სამშენებლო ნარჩენები გატანილ იქნას მოედნიდან.
5. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში მომუშავდა შრომის საფრთხეების და სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების საკითხებზე მთავარ წყაროდ წარმოდგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების СНиП-III-4-80* <<უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში>>.

მითითებანი
1. დაცულ იქნას უსაფრთხოების ღონისძიებანი;
2. აკრძალულ იქნას უცხო პირების მოხვედრა სამშენებლო მოედანზე;
3. დროებითი ნაგებობების განთავსების ადგილი დაზუსტდეს ადგილზე;
4. გათვალისწინებულ იქნას კონსტრუქტორის მითითებანი;
5. მშენებლობაზე განხორციელდეს ხარისხის კონტროლი;
6. მასალების მიღება მოხდეს ეზოს მხრიდან ეტაპობრივად მშენებლობის ეტაპების გათვალისწინებით;
7- სამშენებლო ნაგავი ეტაპობრივად გაიტანოს იქნას მოედნიდან;

ექსპლიკაცია

→ სამშენებლო მექანიზმების და ავტოტრანსპორტის გადაადგილება სამშენებლო მოედანზე

1.დროებითი ღობე
2.დროებითი ჭიშკარი
3.ავტო ამწე
4.ავტო მიქსერი
5.ავტო ტუმბო
6.მასალების საწყობი
7.სამუშაოთა მწარმოებლის ჯიხური

დირექტორი			ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეობანი N6 (ს/კ 01.72.14.032.599)	სტადია	შენობა	შენობები
შესრულა				პროექტი		
			საწყობი			

GRANDE CASA
შპს "გრანდე კასა"